ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲜᲐ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 85, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 74.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) **1. ჰუმანური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპი გულისხმობს:**

ა) ადამიანის სიყვარულს, მის კეთილდღეობაზე ზრუნვას;
ბ) აღზრდის ალტერნატიული გზების, მეთოდების ძიებას;
გ) სწავლის მოტივაციის მაქსიმალურ ამაღლებას;
დ) ცხოვრებისეული მაგალითებით ბავშვის აღზრდას.

(1) **2. ჰუმანური პედაგოგიკის მიხედვით, აღმზრდელის *უმთავრესი* ამოცანაა:**

ა) გაეცნოს კლასიკური პედაგოგიკის მდიდარ მემკვიდრეობას;
ბ) დააკვირდეს მოზარდის ბუნების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;
გ) დაინტერესდეს ბავშვის ფსიქოლოგიის თანამედროვე კვლევებით;
დ) მოამზადოს მოზარდი საკუთარი თავის შესაცნობად.

(1) **3. როგორ უნდა მოიქცნენ უფროსები, რომ მოზარდმა „დიდად“ ყოფნის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს?**

ა) უნდა დაარწმუნონ, რომ „ზედმეტი“ აქტიურობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.
ბ) უნდა დაეხმარონ მას, რომ დაძლიოს სხვადასხვა გზით წახალისებული სიჯიუტე.
გ) უნდა მისცენ მას სრული თავისუფლება, რომ აკეთოს ყველაფერი, რაც სურს.
დ) უნდა ჩართონ ის ისეთ საქმიანობაში, რომ უფროსების თანამოაზრედ იგრძნოს თავი.

(1) **4. რესპონდენტის დაკვირვებით, კონფლიქტი მოზარდსა და ჩვენ, უფროსებს, შორის მაშინ იჩენს თავს, როდესაც:**

ა) მოზარდს ამოცანის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს ვთავაზობთ;

ბ) მოზარდს ვთავაზობთ ისეთ საქმეს, რომელიც სირთულით უფროსებისას ჰგავს;

გ) მოზარდს მუდმივად შევახსენებთ, რომ ის ჯერ კიდევ პატარაა;

დ) მოზარდს შესაძლებლობების თავისუფლად რეალიზებაში ვუწყობთ ხელს.

(1) **5. იმისათვის, რომ ბავშვს თავისუფლების განცდა გაუჩნდეს, უფროსებმა:**

ა) უნდა მეტი დრო გამონახონ მასთან გართობისა და თამაშისათვის;

ბ) უნდა მისცენ მას არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთების საშუალება;

გ) უნდა მოიწონონ და წაახალისონ მისი „ზედმეტი“ აქტიურობა;

დ) უნდა უპირობოდ აღიარონ ის ზრდასრულ ადამიანად.

(1) **6. რესპონდენტის აზრით, რამ შეიძლება წაახალისოს ბავშვის სიჯიუტე?**

ა) არჩევანის გაკეთების დროს მისთვის მეტი თავისუფლების მიცემამ.

ბ) მასთან თანხმობის მისაღწევად უფროსების მიერ გამოჩენილმა ინიციატივამ.

გ) მისი „დიდად“ ყოფნის სურვილის შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებამ.

დ) მშობლის მიერ მისი ბუნებრივი მისწრაფებების ხშირმა უგულებელყოფამ.

(1) **7. ბავშვის პიროვნების სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელია:**

ა) მასთან ყოველთვის საერთო ენის გამონახვა;
ბ) მისი ნებისმიერი სურვილის შესრულება;
გ) მის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღება;
დ) მის სიჯიუტეზე ყურადღების გამახვილება.

(1) **8. ჰუმანური პედაგოგიკისათვის მიუღებელია:**

ა) ბავშვთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება;
ბ) ბავშვთან ურთიერთობაში ზომიერების დაცვა;
გ) ბავშვისთვის უფროსების სურვილის თავს მოხვევა;
დ) ბავშვის ჩართვა უფროსების საქმიანობაში.

(1) **9. რა არის ინტერვიუს *უმთავრესი* მიზანი?**

ა) გააცნოს მსმენელს მშობლების სიმკაცრის განმაპირობებელი ფაქტორები.
ბ) გააცნოს მსმენელს სწავლის მოტივაციის ამაღლების გზები.
გ) გააცნოს მსმენელს ჰუმანური პედაგოგიკის ცენტრის გეგმები.
დ) გააცნოს მსმენელს ჰუმანური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპები.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) ყურადღებით წაიკითხეთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ენძელა“.

გაზაფხულის მზის სხივმა თოვლიან მზორეს საკინძე ჩაუხსნა და შიგ ჩაუძვრა, გაღვიძებულმა მიწამ სიცოცხლე იგრძნო, ამოისუნთქა და ნეკნებს შორის აქა-იქ კისკისით ჩაატარა ყინვისგან მიძინებული თოვლის ნაკადულები, მზის სხივებზე რომ გამოიღვიძეს და ჩაიკისკისეს.

მიწამ თანდათან გადაიღეღა ჩამოხეული თოვლის საკინძე, გალხვა, ორთქლი ამოუშვა და მზის სხივებზე ახალი მოლი მოიქარგა. მერე ისე მძლავრად დაუწყო გულმა ბაგაბუგი, რომ მის მკერდში მიძინებულ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა... მზის დანახვაზე ჯერ დაიმორცხვა, მერე, ხარბად რომ ჩაკოცნეს მზის სხივებმა, თანდათან გული მოეცა, ტანი აიყარა, მხრები შეარხია და მეზობელ ბალახებს გადაუჩურჩულა:

– მომილოცია, მეზობლებო, გაზაფხულის მოსვლა!

– ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ! – გადმოუჩურჩულეს ბალახებმა და გაინაბნენ, ისე გაეკრნენ მიწას, რომ ენძელამ გაკვირვებულმა მიმოიხედა.

– რა ყელი მოგიღერებია! ხომ ხედავ, ჩვენკენ მტრები მოდიან. ეგენი თუ დაეჩვივნენ, მორჩა, მერე ვეღარ დავესწრებით შემოდგომაზე ფერისცვალებას! – ეჩურჩულებოდა მწვანე ბალახი ენძელას.

ენძელას გაუკვირდა, რა მტერი, რომელი მტერიო და იმ მხარეს მიაყურა, ბალახმა რომ ანიშნა. ცხვრები მოდიოდნენ მათკენ და აჭრელებულ თოვლში ბალახს წიწკნიდნენ.

ერთი კი გაიფიქრა ენძელამ, რა უნდათ ამ ცხვრებს, რას ერჩიან ამ საწყალ ბალახსო, მაგრამ სწორედ ამ დროს პატარა ბატკანმა ისე დააბიჯა ფოთლებზე უღონო ჩლიქი, რომ საბრალო ენძელას ასე ეგონა, ერთიანად დამემტვრაო ყველა სახსარი. კივილი უნდოდა, მაგრამ ისე შეეშინდა, რომ საცოდავად გაისუსა. ხედავდა, როგორ გლეჯდნენ ცხვრები კბილებით მის მეზობლებს,

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

ესმოდა მათი კვნესა. მერე მასაც გადაავლო პატარა კრავმა თეთრი კბილები და დაენანა საბრალო ენძელას, მზე რომ ვეღარ დაინახა, იფიქრა, სამუდამოდ ვცილდებიო მის სითბოს, მაგრამ ბატკანი მხოლოდ გაეთამაშა, არც კი მოსვლია მისი შეჭმა აზრად და ენძელამ ისევ გაუცინა მზეს, ცხვრებმა კი გადაიარეს და დაჭრილ ბალახებს ჩლიქებით გამხვრიშებული თოვლი მიაფშვნეს.

გადარჩენილმა ბალახებმა თავები წამოსწიეს და მოწყვეტილ და-ძმებს საბრალოდ გადახედეს. ენძელა იდგა და ფერისცვალებაზე ფიქრობდა. უკვირდა ენძელას ცხვრების საქციელი, მერე თავის დედას, მიწას, ჩაეკითხა: – რატომ მოგვეპყრნენო ასე შეუბრალებლად!

– ბუნებამ ეგენი სხვის საჭმელად დაბადა, მე კი იმავე ბუნებისაგან ნაბრძანები მაქვს, თქვენ მაგათ საჭმელად დაგბადოთ და დაგზარდოთ, – ეუბნებოდა მშობელი მიწა ენძელას და უკვირდა ყვავილს – ნეტავ, რა ვალი მართებსო დედაჩვენს ბუნების. აბა სად ჰქონდა ენძელას იმდენი აზროვნების უნარი, რომ გაეგო, როგორ კვებავდა თავისივე მომავალს თავისი სხეულით. ყველაფერს დაწვრილებით ხომ არ მოუყვებოდა მშობელი მიწა, ესეო და ესეო – მე შენ გზრდი, შენ ცხვრები გჭამენ, ცხვრებს ადამიანები ჭამენ, ადამიანებს მე ვჭამ და ყოველ გაზაფხულზე იმითი ვზრდი შენს შთამომავალ ენძელასო, ასე რომ ეთქვა, მაინც ვერაფერს გაიგებდა ენძელა. უთხრეს, ბუნებამ ასე დააწესაო და ისიც თავისით მიხვდა, ალბათ, მზის სიყვარულიც ბუნებამ დამიწესაო. ამ აღმოჩენით გახარებულმა ენძელამ ბალახებს ბრძენი კაცის სიდარბაისლით გადაულაპარაკა: – მორჩით კვნესას, ბუნებას არაფერი აწყენინოთო...

უცებ ისევ გაინაბნენ მეზობლები. ენძელას ყური აღარ უთხოვებია მათი რატრატისთვის – დაწექი, დაწექიო.

ხედავდა, როგორ იწმენდდა ვიღაც კაცი ბალახებზე ტალახიან ფეხებს, ხედავდა და იმის შიშით, ბუნებას არაფერი ვაწყენინოო, მაინც ყელს იღერებდა.

კაცმა ტალახიანი ფეხები დაიწმინდა და წავიდა.

დაჰყურებდა ენძელა თავის ტალახიან კაბას და გულში ბრაზობდა ბუნებაზე: ყველაფერი ჰო, მაგრამ ეს რა ცუდი რაღაც დაუწესებია – მოვა კაცი, ტალახიან ფეხებს ჩვენზე დაიწმენდს და, ვითომც არაფერი, ისე წავაო. მერე ისე შერცხვა თავისი

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

ტალახიანი კაბის, რომ სირცხვილით მზეს თვალი ვეღარ გაუსწორა, თავი ჩაღუნა და დედამიწას ცნობისმოყვარე თვალებით რაღაცა უთქმელს ჩაეკითხა.

მერე ბუნებას შეეცოდა საწყალი ენძელა, ქარი ააქროლა, მზეს ღრუბლები ჩამოაფარა, მოიღუშა და იმდენი იტირა, სანამ ტალახიანი კაბა არ გაურეცხა.

პირდაბანილი ენძელა იდგა და ფიქრობდა: – რა უცნაური წესები ჰქონია ბუნებასო!

მზე ჩასვლას აპირებდა. დედამიწა გახსნილ საკინძეს იბნევდა. ენძელა კი იდგა და ელოდა ბუნების უცნაურობებს იმ მოლოდინით, რა მოლოდინიც დაჰყვებათ ხოლმე ბუნებისგანვე შექმნილთ.

ელოდა ენძელა და თან თავისთვის ფიქრობდა:

– რა იქნებოდა, რომ ყვავილებად მოვსულიყავით ყველა: ცხვრებიც, ადამიანებიც, მაშინ ხომ აღარავინ მოგვგლეჯდა, ტალახიან ფეხებს არც არავინ გაიწმენდდა ჩვენზე. ვიქნებოდით გაშლილ მდელოზე მოსულნი, ნიავის ქროლაზე ვიბიბინებდით და ვიჩურჩულებდით.

მერე ჩამოწოლილი ღამის შეეშინდა და თვალები დახუჭა.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 10. ნაწარმოების პირველ აბზაცში ავტორი:

ა) მკითხველს განუმარტავს მნიშვნელობას სიტყვისა მზორე;

ბ) მხატვრულად აღწერს ბუნების გამოღვიძების სურათს;

გ) ქმნის ამბის უცნაური გაგრძელების მოლოდინს;

დ) ყურადღებას ამახვილებს სიცოცხლის განახლების აუცილებლობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში: „მიწამ თანდათან გადაიღეღა ჩამოხეული თოვლის საკინძე“?

ა) ალეგორია.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რამ გააოცა ახალგაღვიძებული ენძელა ბუნებასთან ურთიერთობის პირველივე წუთებში?

ა) გადარჩენილი ბალახების ემოციამ.

ბ) მზის სხივების ალერსმა.

გ) პატარა ბატკნის უწყინარობამ.

დ) შეშინებული ბალახების ქცევამ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რომელ წინადადებაშია გადმოცემული ენძელას ემოციური მდგომარეობა?

ა) „დაენანა საბრალო ენძელას, მზე რომ ვეღარ დაინახა“.

ბ) „ენძელა კი იდგა და ელოდა ბუნების უცნაურობებს“.

გ) „ენძელას ყური აღარ უთხოვებია მათი რატრატისთვის“.

დ) „მიძინებულ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. ნანახით გაოგნებულ ენძელას მშობელი მიწისაგან სურდა გაეგო:

ა) რატომ დაუწესა მას ბუნებამ მზის განსაკუთრებული სიყვარული;

ბ) რატომ ექცეოდნენ ბუნების შვილები ერთმანეთს ასე დაუნდობლად;

გ) რატომ იყო ბუნებაში დადგენილი წესრიგი რთული გასააზრებელი;

დ) რატომ უნდა დამორჩილებოდნენ დედამიწის შვილები ბუნების კანონებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. რამ ათქმევინა ენძელას: „მორჩით კვნესას, ბუნებას არაფერი აწყენინოთო“?

ა) ბუნების გულის მოგების სურვილმა.

ბ) ბუნებისთვის თავის მოწონების სურვილმა.

გ) ბუნების მიმართ მადლიერების გრძნობამ.

დ) ბუნების მიმართ შიშის გრძნობამ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. „კაცმა ტალახიანი ფეხები დაიწმინდა და წავიდა“. ადამიანის ამ ქცევიდან ჩანს, რომ:

ა) ის ბუნებაში დადგენილ წესებს მკაცრად იცავს;

ბ) ის ძალიან კმაყოფილია თავისი ნამოქმედარით;

გ) მას ბუნების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს;

დ) მას განსაკუთრებულ სიამოვნებას სუსტის დაჩაგვრა ჰგვრის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. ხანმოკლე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ:

ა) ენძელა ბუნების უცნაურობაში დაარწმუნა;

ბ) ენძელას საკუთარი შიშის დაძლევა ასწავლა;

გ) ენძელას სიცოცხლის ხალისი დაუკარგა;

დ) ენძელას ყველა კითხვაზე პასუხი აპოვნინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 18. მოთხრობის რომელ ნაწილში ჩანს ნაწარმოების მთავარი სათქმელი?

ა) დასაწყისში, რომელშიც აღწერილია გაზაფხულზე ენძელას გამოღვიძების სურათი.

ბ) ფინალურ ნაწილში, რომელშიც გადმოცემულია გულმოკლული ენძელას ფიქრები.

გ) ძირითად ნაწილში, რომელშიც აღწერილია, რა მდგომარეობაში ჩააგდო ადამიანმა ენძელა.

დ) ძირითად ნაწილში, რომელშიც გადმოცემულია, როგორ გაოცდა ენძელა ცხვრების ქცევით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(7) 19. ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი მე-20 გვერდზე მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.

ქართველოლოგია უცხოეთში

საქართველოს შესახებ აღწერითი ხასიათის ცნობებს პირველად ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ნაშრომებში ვხვდებით. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ბიზანტიელ ავტორთა თუ მოგზაურთა ჩანაწერები. (1) --------.

მეცნიერული ქართველოლოგია ევროპაში იღებს სათავეს. (2) --------. ევროპელთათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქართული, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენა.

დღეს კიდევ უფრო მასშტაბურია ქართველოლოგიური კვლევა. ამისათვის მრავალ ქვეყანაში არსებობს ქართველოლოგიური ცენტრები. (3) --------. მათგან ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია იტალიაში არსებულ ცენტრს აქვს. (4) --------. აქ XVII საუკუნიდან ფართოდ გაიშალა ქართველოლოგიური საქმიანობა, რაც განაპირობა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით კრისტოფორო დე კასტელის, ფრანჩესკა-მარია მაჯოს და სხვებს. საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ქართული ლექსიკონი სწორედ იტალიაში დაიბეჭდა 1629 წელს. (5) --------.

იტალიელმა მისიონერებმა ქართული ენის შესახებ მნიშვნელოვანი გრამატიკული ლიტერატურა შექმნეს. (6) --------. იტალიაში ქართველოლოგიური მუშაობა უფრო მრავალმხრივი XX საუკუნის დასაწყისიდან გახდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ მეცნიერთა მოღვაწეობამ. 1936 წელს იტალიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაარსდა ქართველოლოგიის კათედრა. შემოიღეს ქართული ენის სწავლების სავალდებულო ორწლიანი კურსი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვენეციაში ქართველოლოგიის კათედრის დამაარსებლისა და ცნობილი მეცნიერის, ლუიჯი მაგაროტოს, წვლილი ქართული კულტურის კვლევის საქმეში. ის საქართველოს ხშირი სტუმარია. (7) --------. იგი ასევე თარგმნის ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს. ქართველოლოგიურ ცენტრს მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. აქვე გამოდის ჟურნალ „გეორგიკის“ იტალიური სერია.

ტარიელ ფუტკარაძის წიგნიდან „ქართული ენის ისტორია“

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ავტორი ამ სიტყვებით მიუთითებს საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე.
ბ) ამით მისიონერებმა ხელი შეუწყვეს გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, განვითარებას საქართველოში.
გ) ბიზანტიელები აღწერენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ბუნებას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, არამედ მიუთითებენ ამ მხარის კულტურის სიძველეზეც.
დ) ეს ახალგაზრდები წარმატებით მოღვაწეობენ იტალიის ქართველოლოგიურ ცენტრში.
ე) ეს იყო სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი.
ვ) იტალიაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის მიმართ.
ზ) მაგაროტო საფუძვლიანად ფლობს ქართულ ენას, იკვლევს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს.
თ) „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეში იხმარება“ თარგმნეს ქართველ მეცნიერთა დახმარებით.
ი) ნახატები ცოცხლად წარმოაჩენენ იმდროინდელი საქართველოს – განსაკუთრებით იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის – ისტორიის უცნობ მასალებს.
კ) ნეაპოლის აღმოსავლურ ენათა კოლეჯი გადაკეთდა ინსტიტუტად და კავკასიის ხალხთა ენების შესწავლას იქ ჩაეყარა საფუძველი.
ლ) სწორედ ევროპაში დაიწყო ქართული კულტურის საფუძვლიანი შესწავლა.
მ) უცხოელი ქართველოლოგები ქართულ ენასა და ლიტერატურას სწორედ ამ ცენტრებში სწავლობენ და იკვლევენ მეცნიერულად.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(9) 20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა.

თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა X და მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).* თუ წინადადება არ შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა X, მაგრამ აბზაცის ნომრის მითითება საჭირო არ არის.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

სიტყვა იაპონელ ახალგაზრდობას

1. ასი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატები ერთიანი ეკონომიკისა და კულტურის მქონე სახელმწიფო არ გახლდათ. ეს იყო ორი ურთიერთდაპირისპირებული ქვეყანა (ჩრდილოეთი და სამხრეთი). მათ ერთმანეთთან ომი დაიწყეს, რათა გაეგოთ, რომელი აჯობებდა. ჩემი ქვეყანა – სამხრეთი – ომში დამარცხდა. ბრძოლები ნეიტრალურ მიწებზე და უკიდეგანო ოკეანეში კი არ მიმდინარეობდა, არამედ ჩვენს სახლებში, ბაღებში, ფერმებში. ჩვენი მიწა, ჩვენი სახლები დამპყრობელმა დაიკავა და აქვე დარჩა ჩვენი დამარცხების შემდეგ. მარტო ბრძოლებმა კი არ გაგვაღატაკა, არამედ იმან, რომ ათ წელიწადს დარჩა ჩვენთან დამპყრობელი და იმ მცირედისგანაც გაგვცალა, რაც ომმა დაგვიტოვა. ომში გამარჯვებულთ არ უცდიათ უკეთესნი გავეხადეთ და სხვაგვარ ხალხად ან ერად გარდავექმენით. მაგრამ ეს ყოველივე წარსულია – ახლა ჩვენი ქვეყანა, ამერიკა, ერთიანია. მჯერა, რომ ის ახლა უფრო ძლიერია იმ ძველი ტკივილის გამო, რომელიც გადავიტანეთ. რადგან სწორედ ამ მწუხარებამ გვასწავლა თანაგრძნობა ზოგადად იმ ხალხისადმი, რომელიც ომმა დააზარალა.

წინადადებებზე გადასვლა

2. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამერიკელებს შეუძლიათ კარგად გაიგონ ახალგაზრდა იაპონელების გრძნობები ახლა, ისტორიის ამ რთულ ეტაპზე, როცა მე-2 მსოფლიო ომში დამარცხებით დათრგუნულ საზოგადოებას მოგმართავთ დღეს. ახლა თითქოს მომავალი არაფერს გთავაზობთ, გარდა უიმედობისა. ჩემი ქვეყნის ყმაწვილკაცობაც იმ ათი წლის ომიანობის პერიოდში ალბათ თავის მხრივ ფიქრობდა: „რა ვქნათ ახლა? სად ვეძიოთ მომავალი? ვინ გვეტყვის: რა ვქნათ და რისი იმედი გვქონდეს?“ მინდა ვიფიქრო, რომ მაშინაც იყო ვიღაც, ვინც მათ დაარწმუნებდა, რომ ადამიანი ძლიერია; რომ ვერაფერი: ომი, მწუხარება, უიმედობა, სასოწარკვეთა – ვერ გასტანს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ადამიანი გაძლებს; რომ ადამიანი თვითონვე დასძლევს მთელ თავის გაჭირვებას და ძალამოცემული უფრო მეტს შეეცდება. ადამიანი უფრო ძლიერია, მტკიცე და გამძლე, ვიდრე მისი შეცდომები თუ ცდომილებანი.

3. მწამს, რომ ეს არის ერთადერთი დანიშნულება ხელოვნებისა – მუსიკისა, პოეზიისა, მხატვრობისა – იმისა, რაც ადამიანმა გამოიგონა ან აღმოაჩინა, რათა გადმოეცა თავისი სიმტკიცისა და გაუტეხლობის ისტორია. მწამს, სწორედ ომი და გაჭირვება ახსენებდა ადამიანს, რომ მას სჭირდებოდა თავისი გამძლეობისა და სიმტკიცის აღწერა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არის, რომ ამ კრიზისის შემდგომ დაიწყო ჩემს ქვეყანაში კარგი მწერლობის აღორძინება. მწამს, რომ რაღაც ასეთი მოხდება აქ, იაპონიაში, სულ რამდენიმე წლის შემდეგ თქვენი უბედურებიდან და სასოწარკვეთიდან ამოიზრდება იაპონელი მწერლების ჯგუფი, რომელთან საუბარიც მთელ მსოფლიოს მოუნდება; ვინც ილაპარაკებს არა მხოლოდ იაპონურ, არამედ ზოგადსაკაცობრიო სინამდვილესა თუ სიმართლეზე.

4. ადამიანის იმედი მის თავისუფლებაშია, მისი უნდა გვწამდეს და გვჯეროდეს. მხოლოდ თავისუფლებაში შეიძლება არსებობდეს იმედი – თავისუფლება ადამიანს ეძლევა არა როგორც საჩუქარი, არამედ როგორც უფლება და მოვალეობა. მივაღწევთ, თუკი დავიმსახურებთ, თუკი ღირსნი ვიქნებით. ეს თავისუფლება უნდა იყოს სრული თავისუფლება ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მათი ფერისა, ეროვნებისა თუ იდეოლოგიისა. აი რა არის მნიშვნელოვანი.

უილიამ ფოლკნერი

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	შეესაბა-მება	არ შეე-საბამება	აბზაცის N
0.	*ამერიკა ასი წლის წინ ერთიანი ეკონომიკისა და კულტურის ქვეყანა არ იყო.*	*X*		*1*
1.	ადამიანს თავისუფლება ეძლევა როგორც საჩუქარი, როგორც დამსახურებული რამ.			
2.	ამერიკელებს კარგად შეუძლიათ გაუგონ იაპონელებს, რადგან მშვენივრად იციან, რას ნიშნავს უიმედო მდგომარეობაში ყოფნა ომში დამარცხების შემდეგ.			
3.	ამერიკის ომი არა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, არამედ მოსახლეობის კერძო სახლებში, ბაღებსა და ფერმებში მიმდინარეობდა.			
4.	თავისუფლებას ადამიანი აღწევს მაშინ, როდესაც მას იმსახურებს, როცა მისი ღირსი ხდება.			
5.	მწერლის აზრით, იაპონელებმა მხოლოდ იაპონურ სინამდვილეზე უნდა ილაპარაკონ და ამით ყველა უნდა დაინტერესონ.			
6.	მწერლის აზრით, ომში მყოფ ამერიკელებს აუცილებლად ეყოლებოდათ ვინმე, ვინც მათ დაარწმუნებდა იმაში, რომ ადამიანს თავადვე შეუძლია საკუთარი გაჭირვების დაძლევა.			
7.	მწერლის აზრით, ხელოვნების დანიშნულებაა ადამიანმა შეძლოს საკუთარი სიმტკიცისა და გაუტეხლობის ისტორიის გადმოცემა.			
8.	ომის შემდგომმა კრიზისმა მწერლობის აღორძინებას ხელი ვერ შეუწყო.			
9.	ომში გამარჯვებულნი ცდილობდნენ დაპყრობილი ხალხი განევითარებინათ, სხვა (უკეთეს) ერად გარდაექმნათ.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

21. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:

საზოგადოების ნაწილის აზრით, დღეს თითქმის წაიშალა ზღვარი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რაც უარყოფითად აისახება სწავლის პროცესზე.

N21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, 100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) 22. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √*(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
სოფელი მუცო დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. უძველეს დროიდან ვაჟკაცობით	00. ----- უძველესი -----
განთქმული მუცოელები ჩრდილოეთიდან საქართველოში მომავალ გზებს იცავდნენ. საუკუნეზე	0. ---------- √ ----------
მეტია, რაც ციცაბო კლდეზე გაშენებული ეს უნიკალური სოფელი მოსახლეობიდან დაიცალა,	1. ----------
აქაურობას კი მხოლოდ ოთხი ციხე-კოშკისა და რამდენიმე ათეული სახლების ნანგრევებიღა	2. ----------
შემორჩა. მუცოს არქიტექტურული კომპლექსის აღსადგენად შეიქმნა პროექტი, რასაც 2014-2018	3. ----------
წლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ანხორციელებდა. ამ	4. ----------
პერიოდში ბევრ ადამიანს შექონდა წვლილი მუცოს რესტავრაციაში. 2019 წელს პროექტმა	5. ----------
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ევროპულ ქსელის – „ევროპა ნოსტრას“ – პრიზი და	6. ----------
„საზოგადოების რჩეულის“ ჯილდო მიიღო. „რჩეულის“ გამოსავლენათ მსოფლიოს მასშტაბით	7. ----------
მიმდინარეობდა ხმის მიცემის პროცედურა. დაჯილდოების ცერემონია პარიზში გაიმართა.	8. ----------

NN 23-28 დავალებების ***ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ*** *მხოლოდ ერთი.*

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

NN 29-31 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

(1) **23.** ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვაა ნაწარმოები ორცნებიანი კომპოზიტისაგან?

ა) დიდსულოვნება.

ბ) თავმდაბლობა.

გ) თვითკმაყოფილება.

დ) სტუმარმასპინძლობა.

(1) **24.** რომელ წინადადებაშია ხაზგასმული სიტყვა კრებითი არსებითი სახელი?

ა) <u>**ახალგაზრდობა**</u> საინტერესოდ ატარებს დროს.

ბ) <u>**ახალგაზრდობა**</u> ცხოვრების საუკეთესო პერიოდია.

გ) ბაბუა თავისი <u>**ახალგაზრდობის**</u> ამბებს იხსენებს.

დ) სწრაფად გავიდა <u>**ახალგაზრდობის**</u> წლები.

(1) 25. წაიკითხეთ წინადადება:

მხატვარი კაკაბაძის სურათები, როგორც მახსოვს, ხელოვნების მუზეუმის მე-3 სართულზეა გამოფენილი.

მოცემულ წინადადებაში დარღვეულია:

ა) განკერძოებულ სიტყვებთან (ჩართულთან) სასვენი ნიშნის სწორად დასმის წესი;
ბ) ნათესაობითში მდგომი მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნების წესი;
გ) პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვისა და ადამიანის გვარის ერთად ბრუნების წესი;
დ) რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით დაწერის წესი.

(1) 26. მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა განემარტათ, რატომ არის მცდარი ფორმა *ჰკვებავს*.

მოსწავლეების პასუხებიდან რომელია სწორი?

ა) მოცემული ზმნა ერთპირიანია, ამიტომ ირიბი ობიექტური პირის ნიშანი *ჰ-* არ სჭირდება.
ბ) მოცემული ზმნა ორპირიანი გარდამავალია, ამიტომ ირიბი ობიექტური პირის ნიშანი *ჰ-* არ სჭირდება.
გ) მოცემული ზმნა ორპირიანი გარდაუვალია, ამიტომ ირიბი ობიექტური პირის ნიშანი *ჰ-* არ სჭირდება.
დ) მოცემული ზმნა სამპირიანია, ამიტომ ირიბი ობიექტური პირის ნიშანი *ჰ-* არ სჭირდება.

(1) 27. დაასრულეთ მოცემული განმარტება.

გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, არის:

ა) ასპექტის კატეგორია;
ბ) გვარის კატეგორია;
გ) კონტაქტის კატეგორია;
დ) ქცევის კატეგორია.

(1) 28. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *თუ არ ვცდები, მოხუცი ცოლ-ქმარი ამ ტყისპირა სახლში მარტო ცხოვრობდნენ.*
რა ტიპის შეცდომა დაუშვა მან?

ა) მორფოლოგიური.
ბ) ორთოგრაფიული.
გ) პუნქტუაციური.
დ) სინტაქსური.

(2) 29. დაასახელეთ, რომელი ორი გრამატიკული კატეგორიით განსხვავდება ერთმანეთისაგან ზმნები:
ვაგზავნი და *გავაგზავნი.*

(2) 30. ა) განუმარტეთ მოსწავლეს, როგორ გაარკვიოს, რომელ ბრუნვას გამოხატავს ნაცვალსახელი *ჩვენ* შემდეგ წინადადებაში:
ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მასწავლებლის რეკომენდაცია.
ბ) დაწერეთ წინადადება, რომელშიც პირის ნაცვალსახელი *ჩვენ* სხვა ბრუნვას გამოხატავს.

(2) 31. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ეზოში ულამაზესი ალვის ხეები დგანან.*
ა) გაასწორეთ შეცდომა.
ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.